NEW VISION UNIVERSITY

# ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
# 2021 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში

**ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ანგარიში აერთიანებს უნივერსიტეტის მიერ 2021 წელს განხორციელებულ აქტივობებს, რომელიც ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.**

**ანგარიში მიზნად ისახავს ინფორმაციის სისტემატიზებას, განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის შეფასებასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას.**

**ანგარიში მომზადებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის კომიტეტის მიერ 2022 წელს, საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით.**

## შესავალი - **ვინ ვართ ჩვენ?**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი არაკომერციული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებაზე.

უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

უნივერსიტეტი მოწოდებულია იყოს ლიდერი თანაბარი შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვაში და ამით ხელი შეუწყოს მულტიკულტურული, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას.

უნივერსიტეტის სლოგანია ***„თანაგონე ზრუნვა"***.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, უნივერსიტეტის საქმიანობა სწავლების, კვლევისა თუ სერვისების მიმართულებით დაფუძნებულია საზოგადოების საჭიროებებზე და მიზნად ისახავს, დადებითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაზე, წვლილი შეიტანოს ადგილობრივი და გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა და სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების განხორციელება. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით, უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, წვლილი შეაქვს გარემოს მდგრადობაში, მათ შორის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით და ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლასა და კეთილდღეობას.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქმიანობის არეალიდან, ძირითადი მახასიათებლებიდან და მისიიდან გამომდინარე, დაარსების დღიდან ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამასთან, უნივერსიტეტი, იაზრებს რა უნივერსიტეტების კორპორატიულ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების აღსრულებაში, გეგმავს, ახორციელებს და ავითარებს აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს მათ მიღწევას.

## Covid-19 - თან ბრძოლა

ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიასთან ბრძოლაში. უნივერსიტეტმა პანდემიის პირველ წელს ორ მილიონ ლარზე მეტი გამოყო, რომ ჰოსპიტალი სრულად მზად ყოფილიყო კოვიდ-პაციენტების მკურნალობისთვის. ჰოსპიტალმა ორი წლის განმავლობაში 5000-მდე კოვიდ-პაციენტს გაუწია სამედიცინო მომსახურება.

ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ახორციელებდა სოციალურ კამპანიას კოვიდ-19-თან ბრძოლაში ჩართული ადამიანების დასახმარებლად და სპეციალური პლატფორმის საშუალებით, ხელს უწყობდა სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას. საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის პარტნიორმა კლინიკებმა და კომპანიებმა საქველმოქმედო მიზნით აუცილებელი მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა გადასცეს კოვიდთან ბრძოლაში ჩართულ სამედიცინო პერსონალს.

პანდემიის პერიოდში სტუდენტების პრაქტიკა ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ემსახურებოდა არა მხოლოდ მედიცინის პროგრამის სასწავლო მიზნებს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა პანდემიასთან ბრძოლაში. სასწავლო კომპონენტებს მიღმა, მედიცინის სკოლის სტუდენტები დამატებით მოხალისეებადაც მუშაობდნენ როგორც ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, ასევე ეხმარებოდნენ სხვა კლინიკებს.

კოვიდ-19-თან ბრძოლაში გაწეული წვლილისთვის საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს სპეციალური ჯილდო გადასცა.

## საზოგადოებისთვის სასარგებლო კვლევები

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის უნივერსიტეტის სამეცნიერო და კლინიკური გუნდი მუდმივად ახორციელებს საზოგადოებრივად სასარგებლო კვლევებს, მიღებული ადრეული და საბოლოო შედეგები ქვეყნდება საჯაროდ.

2021 წელს უნივერსიტეტის პუბლიკაციების 50%-ზე მეტი მედიცინას ეხებოდა, აქედან 40% კი Covid-19-ის მქონე პაციენტების მკურნალობას ან/და რეაბილიტაციას.

უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვაზე საზოგადოების სასიკეთოდ მიმართულ კვლევებში - როგორც დოქტორანტების სემინარები, ისე სამაგისტრო ნაშრომების დიდი ნაწილი დაეთმო კოვიდ-პანდემიის გამოწვევებს.

2021 წლის გაზაფხულის სემესტრში ნვუ-ს მედიცინის მიმართულების დოქტორანტებმა იმუშავეს ნაშრომებზე საერთო თემატიკით: „Covid-19-ის გამოწვევები მედიცინაში და მათი გადაჭრის გზები“, ხოლო შემოდგომის სემესტრში: „პოსტპანდემიური რეაბილიტაცია“.

სამართლის მიმართულების დოქტორანტების სემინარი კი მიეძღვნა ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობას. სემინარმა მიზნად დაისახა ვაქცინაციის წამახალისებელი სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი და საზოგადოებაში ვაქცინაციის მიმართ პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

## იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების დახმარება

2021 წელს უნივერსიტეტი შეუერთდა იშვიათი დაავადებების მსოფლიო დღის აღნიშვნას და უნივერსიტეტის „სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესების ცენტრში“, იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტებს უსასყიდლოდ ჩაუტარდათ კონსულტაციები და სამედიცინო-გამოკვლევები. 2021 წელს დაიწყო ასევე ახალი პროექტი, რომელიც საქართველოში მცხოვრებ იშვიათი დაავადების მქონე პირების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას ითვალისწინებს. ბაზის არსებობა დაეხმარება პაციენტებს და მათ ოჯახებს სამედიცინო და სოციალური მომსახურების დროულ მიღებაში. პროექტი განხორციელდება უნივერსიტეტის იშვიათ დაავადებათა კვლევითი ცენტრის ბაზაზე.

კვლევითი ცენტრი, საქართველოს იშვიათ დაავადებათა ასოციაციასთან ერთად, ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამეცნიერო და კლინიკური კვლევების განხორციელებას. ამ კვლევებში ჩართულობა ხელმისაწვდომი იქნება მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირებისა და მათი ხელშემწყობი სამედიცინო პერსონალისთვის, რაც თავის მხრივ პაციენტების უახლესი მეთოდებით მკურნალობის საშუალებას იძლევა.

## სისხლის ბანკი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ახორციელებს არაკომერციული სისხლის დონაციის პროგრამას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სისხლის ბანკი, რომელიც ახდენს სისხლის უანგარო დონაციის პოპულარიზაციას, ამასთან, პროგრამის მიზანია დაავადებების დროული გამოვლენა და გართულებების პრევენცია და სისხლის ყველა ჯგუფისა და რეზუსის კომპონენტის საჭირო მარაგის შენარჩუნება.

სისხლის ბანკის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ისინი არიან სისხლის ბანკის დონორები, ამასთან, გადიან სწავლების პრაქტიკულ კომპონენტებს.

## ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამა

ქალთა
პერსონალიზებული
ჯანმრთელობის
პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა დაიწყო ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელება. ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამა სოციალური პასუხისმგებლობის იდეით შეიქმნა და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პროფილაქტიკური კვლევების ჩატარების ხელმისაწვდომობაა. პროგრამას პირველი ბენეფიციარები 2022 წლიდან ეყოლება.

პროგრამის მიზანია პროფილაქტიკური კვლევების კულტურის დანერგვა ქალებში და შემდგომი მკურნალობის ხელშეწყობა. პროგრამა მოიცავს დიაგნოსტიკურ კვლევებს შემდეგი მიმართულებით: ენდოკრინოლოგიური, გინეკოლოგიური, მამოლოგიური, სტომატოლოგიური, დერმატოლოგიური, ფსიქო-თერაპიული, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტური, მათ შორის COVID-19-ის შემდგომი გართულებების პრევენციის მიზნით.

პროგრამა ფინანსურად მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ. საერთო ჯამში, პროგრამის ღირებულება საბაზრო ღირებულებასთან შედარებით 5-ჯერ ნაკლებია.

## სპორტისა და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი 2021 წელს საქართველოს რეგიონული საფეხბურთო კლუბის, ტორპედო ქუთაისის მფლობელი გახდა. ქუთაისის ტორპედოს შეძენა მიზნად ისახავს როგორც ფეხბურთის, ისე რეგიონული განვითარების ხელშეწყობას. საუნივერსიტეტო და ქუთაისის ტორპედოს საფეხბურთო საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება სოციალური პასუხისმგებლობის იდეის პოპულარიზაციას ემსახურება.

უნივერსიტეტს საქართველოში სპორტის ხელშეწყობის მიზნით არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული. იგი ავითარებს საკუთარ სპორტულ კლუბს, საფეხბურთო ბაზასა და სხვა სპორტული სახეობების ხელშეწყობისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას.

## სპორტის პოპულარიზაცია ბავშვებში და პარასპორტის განვითარება

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან პარტნიორობით საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო მილანის „ინტერის“ პირველმა ბავშვთა საფეხბურთო საერთაშორისო აკადემიამ.

ამ თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს საქართველოში იმ პოზიტიური კულტურის დამკვიდრებას, რომლის ხარჯზეც, მოზარდები გაითავისებენ ყველა იმ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ღირებულებას, რომელიც საფეხბურთო სამყაროს განუყოფელი ნაწილია.

უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს ქართველ პარასპორტსმენ ბავშვებზე. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის მიერ დაფუძნდა საქართველოს ბავშვთა პარასპორტის განვითარების ასოციაცია, რომლის მიზანია ბავშვთა პარასპორტისა და პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარება.

## ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების მხარდაჭერა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა დააფუძნა შვილობილი კომპანია ნიუ ვიჟენ ლიზინგი, რათა დაეხმაროს მცირე და საშუალო მეწარმეებს. კომპანიის პრიორიტეტია სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა, რაც კვლევისა და ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის იქნება გამოყენებული. ამასთან, ნიუ ვიჟენ ლიზინგის ერთ-ერთი პრიორიტეტია მზის პანელების სადგურების დაფინანსება, შესაბამისად, ელექტროენერგიის განახლებადი რესურსებით გამომუშავებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საკუთარი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, ზრუნავს მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე.

ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალის სახურავზე მიმდინარეობდა მზის პანელების განთავსება. პანელები მოიცავს **1100 კვ.მ.** მზის სადგურის მიერ მიღებული ელექტროენერგია წლიურად **64 ტონა CO2-ის გამომუშავებას შეამცირებს, რაც 90 ხის დარგვის ექვივალენტურია**.

ნიუ ვიჟენ დაზღვევის „თეთრი ტაქსის“ პროექტის ფარგლებში, ტაქსის მძღოლებს აუნაზღაურდათ ლიცენზირებისა და ტექ-დათვალიერების საფასური, რითაც ბაზარზე რამდენიმე თვეში აღმოიფხვრა არალიცენზირებული საქმიანობის შემთხვევები. ასევე, მიღწეულ იქნა მთავარი შედეგი - ტაქსების ტექნიკური გამართულობა, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა. იგი ხელს უწყობს როგორც ჰაერის დაბინძურების, ასევე საგაზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირებას.

## მდგრადი კამპუსი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კამპუსი მოიცავს რეკრეაციულ, მწვანე ზონებს. კამპუსის ტერიტორიის 80% ბუნებრივი საფარითა და გამწვანებითაა მოცული, სადაც სტუდენტებსა და პერსონალს, ისევე როგორც მსურველებს (ადგილობრივ-მოსახლეობას) შესაძლებლობა აქვს მოისვენოს და ისეირნოს.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 5 სპორტული მოედანია რომელთა ნაწილიც ასევე ღიაა მსურველებისთვის, წინასწარი ჯავშანის საფუძველზე, უსასყიდლოდ. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, პერსონალსა და სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ყოველ ოთხშაბათს მართავს სპორტულ ღონისძიებებს, რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები.

უნივერსიტეტის კამპუსში განთავსებულია ფურცლის, შუშის, პლასმასის დასახარისხებელი ყუთები, ასევე სასმელი წყლის ფანტანტები და დისპენსერები, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობისა და ამასთან, ნარჩენების შემცირების მიზნით.

კამპუსის ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს სრულფასოვნად შეუძლიათ სერვისებით სარგებლობა. უნივერსიტეტის შენობაში წყლის გათბობა მზის ენერგიით ხდება.

## უფასო იურიდიული დახმარება

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში 2014 წლის ივლისიდან ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელიც უსასყიდლოდ უწევს ბენეფიციარებს იურიდიულ დახმარებას:

- უფასო იურიდიულ კონსულტაციას (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში;
- განცხადების, საჩივრის, სარჩელის/შესაგებლის ან სხვა სახის იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებას;
- დაინტერესებული პირის უფასო წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე.

იურიდიული დახმარების მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს და საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ ნებისმიერ იურიდიულ პირს.

2021 წელს ცენტრმა იურიდიული დახმარების გაუწია 124 ბენეფიციარს, მათ შორის, 20 ბენეფიციარისთვის იურიდიული დახმარების ცენტრმა უზრუნველყო წარმომადგენლობა საქმის განხილვაში, 72-ს გაეწია კონსულტაცია, მომზადდა 12 განცხადება, 17 საჩივარი, 22 სარჩელი, განხორციელდა 83 ხელშეკრულების შედგენა და ექსპერტიზა.

## თანამშრომლობა შრომის კოდექსის გაუმჯობესებისთვის

2021 წელს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი გახდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პარტნიორი დაწესებულება. საგრანტო პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარების შემუშავებაზე. პროექტში მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პრაქტიკოსი იურისტები და ILO-ს ექსპერტები. პროექტი ემსახურება საქართველოში შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და მოქმედი სამართლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.

## იურიდიული ეთიკის განვითარების ხელშეწყობა

2021 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის ფარგლებში – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) და მათი მხარდაჭერის შედეგად, გამოიცა იურიდიული ეთიკის სახელმძღანელო, ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორების ეთიკის შესახებ. სახელმძღვანელო დაეხმარება იურიდიული პროფესიის მომავალ და პრაქტიკოს წევრებს, უკეთ გაიაზრონ ეთიკის არსი, დაეუფლონ პროფესიულ სტანდარტს და იმოქმედონ მათი პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობების შესაბამისად.

ამავე პროექტის ფარგლებში, გაიმართა იურიდიული ეთიკის ყოველწლიური კონფერენცია. ამასთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა, სამართლის სტუდენტებისთვის განახორციელა პრაქტიკული კურსი იურიდიულ ეთიკაში.

## აგრო დაზღვევა




ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიები იზიარებენ უნივერსიტეტის ღირებულებებს და სოციალურ პასუხისმგებლობას. უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიის, ნიუ ვიჟენ დაზღვევის დაფუძნება მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებით, საქართველოში სადაზღვევო კულტურის განვითარებას. ნიუ ვიჟენ დაზღვევა დაფუძნების დღიდანვე გახდა ლიდერი კონკრეტული სოციალური სადაზღვევო პროდუქტების განვითარებაში. მათ შორის, იგი 2021 წელს აგრო დაზღვევის ბაზრის 27 პროცენტს ფლობდა და აქტიურად მონაწილეობდა პროგრამაში, რომლის მიზანიც ქვეყნის აგრო მიმართულების განვითარება და ადგილობრივი ფერმერების ხელშეწყობა იყო.

2021 წელს უხვნალექიანი ამინდისა და სეტყვის გამო, ადგილობრივ ფერმერებს მნიშვნელოვანი დანაკარგები ჰქონდათ. ნიუ ვიჟენ დაზღვევამ სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა და აანაზღაურა ჯამში **5 408 959 ლარის** ზარალი იმ პირობებში, როდესაც არსებობდა შესაბამის პოლისების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლები. სულ 2021 წელს ნიუ ვიჟენ დაზღვევის აგრო დაზღვევას **2213** ბენეფიციარი ჰყავდა,რომელთაგან **912-ს** აუნაზღაურდა ზარალი.

## თანამშრომლობა გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდულ ორკესტრთან

2019 წელს, თბილისის მერიის მხარდაჭერით, ეროვნული სასახლის ბაზაზე დაფუძნდა თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი (შემდგომში გ. ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი), რომლის ჩამოყალიბების იდეაც ეკუთვნით ახალგაზრდა დირიჟორს მირიან ხუხუნაიშვილსა და მუსიკოსს მიხეილ მდინარაძეს. ორკესტრი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალგაზრდა ორკესტრანტების ცხოვრებაში და მათ პროფესიული ორკესტრისთვის ამზადებს.

2021 წელს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტსა და ახალგაზრდულ ორკესტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის ერთობლივმა საგანმანათლებლო მიზნებმა მუსიკის სფეროში, ასევე მუსიკის დახმარებით სხვა სფეროების განვითარების პოპულარიზაციის იდეამ.

უნივერსიტეტმა საკუთარ თავზე აიღო როგორც ახალგაზრდა ორკესტრანტების სახელფასო მხარდაჭერა, ისე წარმატებული, უცხოეთში მოღვაწე ახალგაზრდა მუსიკოსების საქართველოში ჩამოყვანისა და განთავსების ხარჯები.

უნივერსიტეტისა და ორკესტრანტების თანამშრომლობამ პანდემიის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმ ფონზე, როდესაც კონცერტების ჩატარებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა მუსიკალურ სფეროში მოღვაწე ახალგაზრდებს პროფესიული განვითარების გზაზე დამატებითი ბარიერები შეუქმნა.

გამორჩეული მისიის ორკესტრისა და შემოქმედებითი გუნდის პარტნიორობა უნივერსიტეტს ახალგაზრდა მუსიკოსების წახალისების, მათი შემოქმედების დაფასებისა და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს.

SHARE VISION - **INSPIRE TO CARE**

**NVU CAMPUS**

www.newvision.ge
info@newvision.ge
ნოდარ ბოხუას ქუჩა 11, თბილისი, 0159
+995 32 24 24 440